



№ 16 (1410) აგვისტო 1973

საბავშვო

გამოცემის 50-ე წელი ფასი 20 კპპ.

— ახლაც ბედვ სპორტის გადაგულვან?
— ეს ზარზანდელი გადაგულულია.



— ქველი ღირვეტორის მომთხოვნი იყო და ახალის მომთხოვნია, მაგრამ ის სულ სხვა რაღაცას თხოულობდა, ეს სულ სხვა რაღაცას თხოულობს.

კავშირის საფუძვალზე

მოდის ისე, რომ ჩემი უფროსი და მე ერთად შევჯექით ჯორზე. რადგან არც ერთი არ ვაპირებდით ნებით ძირს ჩამოსვლას, ჩვენს დავაში უფრო დიდი უფროსი ჩაერია და ორივე ჩამოგვადგო ძირს...

ჯორიდან ჩამოვდებულ ჩემს უფროსს სასწრაფოდ გამოუჩინეს სხვა სამუშაო და ახლა ზღაბრულ რაშს დაავლეგებს, მე კი დავრჩი ჩემი დიპლომის, საპატიო წოდებისა და განუხორციელებელი ოცნების ამარა!

უმეუფერობის სტაჟი ის-ის იყო ორ თვეს უახლოვდებოდა, როცა ჩემი მშობლიური რაიონის კულტურის სახლის დირექტორი გამოემეცხადა, რადგან რესპუბლიკურ დათვალერებაში მის სახალხო თეატრსაც უნდა მიეღო მონაწილეობა.

მართალი ვითხრათ ამდენი ტიტულის პატრონს თვის დამცირებელ მიმჩინდა სახალხო თეატრში პიესის დადგმა და ერთობ უხალისოდ დავთანხმდი. დირექტორმა, უხალისობა რომ შემამჩნია, დამამბედა: პიესას ჩვენ დავდგამთ, შენი მართო სახელი გვინდა, პოპულარული კაცი ხარ, ყიურის წევრი იქნები და სიტყვას ნუ დავგამაღლი, ჩამოსვლით კი ორ-სამჯერ ჩამოდი, საქმარისი იქნებაო.

პირველად რომ რაიონში ჩავედი, ზღვა ხალხი შემხვდა. სადგურიდან პირდაპირ ბანკეტზე წამიყვანეს. სულ ლექსებით ამბობდნენ ჩემს სადღეგრძელოს, მაქებდნენ, ხან მარჯანიშვილს მეძახდნენ, ხან — სტანისლავსკის...

სადამოს რეპეტიციას დავეცხარი. ახლა კარგად არ მახსოვს, ვის რა შენიშვნა მივეცი. მგონი იმათ, ვინც ხმადაბლა ლაპარაკობდა, ხმის აწევა მოვთხოვე, ხმადაბლა მოლაპარაკებებს კი — ხმის დაწევა.

რეპეტიციიდან ისევ ბანკეტზე წამიყვანეს. იქიდან საერთაშორისო ვაგონში

შემიტანა ორმა ვაჟაკმა. ვაგონში დირექტორმა დამიმართხელა, ჯიბეში რაღაც შეხვეული ჩამოიღო. „ეს რა არის — მეთქი?“ „არაფერი ისეთი, ავანსიაო“. ვიუარე. დირექტორმა ქვა აავდო, თავი შეუშვირა, დამრული მატარებლიდან გადახტა და გაუჩინარდა. გავხსენი შეხვეული. თვალს არ დავუჭერე: ათასი მანეთი — ახალი კურსით! ეს ხომ ჩემი ხუთი თვის ხელფასია?! აქ რაღაც შეცდომაა-მეთქი, და, მეორე დღესვე, დავბრუნდი რაიონში. ყველას გაუკვირდა ჩემი ჩასვლა. თურმე მხოლოდ ერთი თვის შემდეგ მელიოდნენ. დირექტორმა ფული არათუ გამომართვა, ერთი იმდენი კიდევ ჩამართა ჯიბეში. ასე და ამირიგად, სულ სამჯერ ჩავედი რაიონში და სამი ათასი ჩამითვალეს...

ახლა აღარც კი მახსოვს, ხსენებულმა თეატრმა რა იდგილი დაიკავა დათვალერებაზე...

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ყოველ საიუბილეო დღეებში ჩემზე ნადირობა აქვთ რაიონის ხელმძღვანელებს. (ნურას უკაცრავად ახლა კულტურის სახლის დირექტორის თხოვნით არ ვკადრულობ რაიონში ჩასვლას!). აღრე ფულის გამორთმევის დროს თუ ვწითლდებოდი, ახლა ისეთ რიცხვს ვასახელებ თვითონ წითლდებიან. ჩემმა შემოსავალმა ზღაბრულად იმატა. „ვოლგა“ ვიყიდე, აგარაკი ავიშენე და მითხარით, ღირს ახლა მუშაობის დაწყება?

ვარ ჩემთვის არხეხილ: არც კრებებზე დასწრებას მაძალებს ვინმე და არც საწარმოო თათბირები მიწყალევენ გულს, არც საშემოსავლოს მიქვითავენ და არც არაფერზე ვაწერ ხელს.

მიმდევრებიც ბლომად გამომიჩნდნენ. ტიტულიანმა ქორეოგრაფებმა და ლობაბარებმა პროფესიად გაიხადეს ასე კარი-კარ სიარული.

ვინავარ თუციცია

ქართული გიგლიოტიკა

წინათ ქმა: ქალაქს სოფელი იოლად უკავშირდება, გლეხკაცი, ერთ დღეს, ქვეყანას მოივლის, თუ დასჭირდება.

შეიტყობს, თუნდაც პრალაში მოყვასს თუ რამე სწყენია... ჰოდა, ასეთ დროს, ამ ლექსის გმირების ნაცვლად მრცხვენია:

ალიონია. წყაროსკენ თებრომ გასწია კოკითა და ყველა შემხვედრს: ბავშვს, ქალს, კაცს, ჭორების გუდა მოჰკიდა.

— საყვარელ ნინოს სიცოცხლე!
— იცოცხლე, თებრო ნათლია!
— გაიგეს, გოგო, თქვენებმა ბიძაშენს რა დამართნია?

— რა დამართნია?
— კაფეში
შესულა, ცოლზე გამწყრალი, მწვადი რომ დაუკვეთია, დაუჭერიათ, საწყალი!

— რას ამბობ?
— ქართულს! ბოლმისგან მუხლებში ძალა წამერთო, თბილისში უთქვამთ ხალხისთვის: გეყოფათ რაც რომ ჭამეთო!

ნინომ რომ სახლში მოჰკურცხლა, თებრომ ხელთ იგდო გოგუცა.
— გაიგე, ქალო, შეშს ძმისწულს საქმე რა ცუდად წასვლია? საყვარლად გაუჩნია ვილაც როსკიპი ასია.

გარყენილი ცხოვრებისათვის მიტუშა დაუჭერიათ, სახლში ნემსი რომ ნემსია, ისიც კი აუწერიათ.

— რას ამბობ?
— ქართულს! სხვას ჰკითხე, თუ ჩემი სიტყვა არ გჯერა, ცოლის დაცვლისთვის ახლახან შემოუღიათ დაჭერა!

ბოლოთ ქმა: თებროს მტკიცებით საზამთრო ჭრელი ნესვია, ჰოდა, ის, ვისაც ეს სჯერა, თებროზე უარესია.

ქიხვარდ ისაკაძე



— ქალის კაბა ხომ არ გაქვთ?..

ნ. ბ. ლომიძისა

ამოსხანის ამომსხნელები რაიჭრნენ

ოთხი ცნობილი კომბინატორი შეიკრიბა და თქვეს, ჩვენს ოინებს ყავლი გაუვიდა, სხვა საქმე მაინც არაფერი გვაქვს და, მოდი, თავშესაქცევად ამოცანების ზეპირად ამოხსნაში შევეჯიბროთო ერთმანეთს.

— ამოცანა ბევრი ვიცი, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ერთს გეტყვით, — დაიწყო რესტორან „ცვრიანი მწვადების“ ბუფეტის დახლიდარმა ლუღუმა ღვინიაშვილმა, — ბუფეტში, სხვა ღვინოებთან ერთად, ყოველთვის მქონდა ორი მარკის ღვინო: „წინანდალი“ და „იმერული“.

ჩვენთან „წინანდალი“ ღირს 2 მანეთი და 6 კაპიკი, „იმერული“ კი — 94 კაპიკი. სხვაობა შეადგენს 1 მანეთსა და 12 კაპიკს. ფერთა და ჭურჭლის მოცულობით ისინი ერთნაირია, განსხვავდებიან მხოლოდ ფასით და ოდნავ — გემოთიც.

„იმერული“ „წინანდალის“ ბოთლებში გადამქონდა და ლიტრას 2 მანეთად და 6 კაპიკად ვასაღებდი. ყოველდღიურად, საშუალოდ, ასი ლიტრა ასეთი „წინანდალი“ ისმებოდა. აქედან დღეში რამდენი მანეთის შემოსავალი მექნებოდა? თხოთმეტ დღეზე გაანგარიშებით თვეში რამდენი მანეთი დამრჩებოდა?

— დღეში 112 მანეთს მოიგებდი, თვეში კი — 1.680 მანეთს! — სწრაფად მიუგო მეპურე ლენტორა თავფქვილაძემ, — შე კაცო, ეს ქვე რა ძნელად ამოსახსნელი ამოცანაა! აბა, ახლა მე გეტყვით:

ქართული პურის საცხობში ვმუშაობდი ბრიგადირად, ფქვილი ყოველთვის ორი სახისა მქონდა: თალხი ფურისა ღირდა 30 კაპიკი, თეთრისა — 45. მათ ერთმანეთში თანაბარწილად ვურევი და ვაცხობდი. მერე თითო ლავაშს 45 კაპიკად ვყიდდი. დღეში 1000 კილო ლავაში ცხვებოდა. აქედან დღიურ შემოსავლად რამდენი მანეთი



მექნებოდა? თვეში რა დამრჩებოდა, 27 სამუშაო დღეზე გაანგარიშებით?

— დღეში 80 მანეთი, თვეში 2160 მანეთი, — თვალის დასამხამებლაში ამოხსნა ამოცანა საკონსერვო ქარხნის მთავარმა ინჟინერმა შაქრო ჭურდოვანიძემ და ჩაიციხა, — ხო, ხო, რა ძნელი ამოცანა მოგვასხენა ლენტორიკომ!.. მაგას, ბიჭო, პირველკლასელი მოწაფეც ამოხსნის. აბა, მე მიგდეთ ყური:

ჩვენი ქარხანა მურაბის კონსერვს ამზადებს. ერთი კილო ქლიავისა და ტყემლის მურაბის დამზადებას ერთი კილო შაქარი სჭირდება. მაგრამ მე 800 გრამს ვამყოფინებდი. ასე, ეკონომიით დანაზოგ ყოველ კილო შაქარს მაღაზიის ნაცნობ გამგეს ვაძლევდი 50 კაპიკად. დღეში ვამზადებდით 2000 კილო მურაბას და 400 კგ შაქარი მრჩებოდა. აქედან რამდენ მანეთს მივიღებდი დღეში? თვეში რამდენი მანეთი დამრჩებოდა, თუ 22 დღეს ვმუშაობდი?

— დღეში მივიღებდი 200 მანეთს, თვეში კი 4400 მანეთს, — მცირე ხნის ფიქრის შემდეგ ყველას დაასწრო და უპასუხა ინსტიტუტის ლექტორმა, ქრთამ-გამოძალვის მეცნიერებათა კანდიდატმა ფარნა წუწკავამ და ბრძანა თავისი:

— ყოველწლიურად 10 უვიც აბიტურიენტს ვაწყობდი ინსტიტუტში. თითოეულისგან 2000 მანეთს ვიღებდი საჩუქრად და სამალარიჩოდ. სულ, ამ სახით, რამდენი მანეთის შემოსავალი მექნებოდა წელიწადში?

— 20.000 მანეთი! — თითქმის ერთდროულად მიუგო სამივე კომბინატორმა. თან ჩაიციხეს, აქ ამოსახსნელი რაა, ყველაფერი დღესავით ნათელიაო. ამ საუბრისთვის ყური რომ მოეკრა ვინმეს ოთხივე ცუდ დღეში ჩავარდებოდა, მაგრამ, საბედნიეროდ ისინი ფრიად საიმედოდ იყვნენ დაცულნი: ოთახის კარი რკინით იყო შეჭედული, სარკმელსაც რკინის ცხაური ამშვენებდა.

ამირან მიქაშტაძე

განა უქმად დადიოდი,
ჭალა-ჭალა, ტყე-ტყე?
კაკლად იცან და სოფელი,
რაც შეგეძლო, ბერტყე.
ირგვლივ მსმელი ძმა-ბიჭები
დამცველებად გერტყენ!

დიდი სახლი აიშენე,
რა თქმა უნდა, ბალით.
მოთქრული კედლები აქვს,
ჭერზეც — ბროლის ჭალი.
ავეჯი და ჭურჭლეული
გახსენებდა არ ღირს!

კაი ხანი სხვისი ჯიბე
შენს ჯიბეში ფერთხე.
დიდთან ოქროს აიქნევი,
პატარასთან — კვერთხებს.
მაგრამ, მაგრამ, ჩემო კარგო,
შენც წაგისწრეს ერთხელ!

და ის, რაც ვერ მოასწარი,
დარდად წაიყოლე.
აწი სახლთან შავი „ვოლგით“
ვედარ ჩაიქროლებ.
ალარავის დასჭირდები —
ალარაფრის მქონე!

ეჰა, შენი თეთრი ფარა,
ეჰა, შენი ჯოჯი!
სად გაიშლი ახლა კარავს,
სად დაიგებ ლოგინს?

ჯოჯი შენს თავს დააბრალებ,
სხვებს მოსთხოვე ჯოჯიც!
ერთ კუნჭულში ჩაესახლე, —
ადრე ათის ტოლი.

მანდ არც ოქროს კედლებია,
არც ჭალია ბროლის...
მხოლოდ რკინის კარიბჭესთან
იცრემლებს ცოლი!..

მასილ გვეტაძე



ზუკეძუნი

სერაპიონს არავინ ჰყავს კაცი ვინმე — „დიდი“,
ლამის ყველა გააბრიყვა, ტყუილს ამბობს ფლიდი:

„ბიძა არის დედის განხრით, ვენაცვალე ორდეს!“
და აძლევენ ახალ სახლის იმ სანუკვარ ორდერს.

„თეოფილე? დედისერთა გამოვზარდეთ ბალდი,
დავამთავრეთ მერე ერთად ჩვენ საბავშვო ბაღი!“

და დაუდგეს ტელეფონი ხელად სერაპიონს,
ყველგან ნახა მერე ფონი (ესეც ეპატოსი!)

ამ მეთოდს ვერ შევლია, ნახა დიდი სარფი,
იგი ყველგან მძებნელია ნათესაურ ძაფის:

„ნათლიაა ის სიდდერის, ის — მძახალი ქვისლის,
ჯიგრები რომ ვნახო ერთი, მისთვის ვედარ ვიცლი.“

ის ძმა არის ნახევარი, ის — პაპიდის მული!..“
დადის ბედის მაძებარი ნახევარი გულით.

მანქანა თუ აგარაკი, ცოლსაც — წავის ქურქი...
ალარ უნდა ლაპარაკი, მაგარი აქვს ზურგი.

„ნათესავი“ თუ მოაძრეს, ფირფიტასაც შეცვლის:
„მოსახსნელი იყო ადრე, ჩერჩეტი და ბეცი!“

სიტკბოს ნაცვლად, შხამს დათესავს, მაგრამ ისიც ცდება,
ვინც ვილაცას, თუნდ ნათესავს ზედმეტ რიდით სვდება.

ნაწყალობევს ამ გზით ელის ქვეყნისათვის ურგი,
რას მიქვია სხვისი წელი? — გქონდეს შენი ზურგი!

სტეფანე მხარბრძლი

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, საგამოცდო ვადით, მუშაობა დავიწყე ერთ-ერთ სამმართველოში, სადაც უფროსად ლენტორ პანტელეიმონის ძე ლილამიშვილი იჯდა.

საგამოცდო ვადის გასვლის შემდეგ, ერთხელ, ჩემს მაგიდას მოუახლოვდა განყოფილების უფროსი და მითხრა, სამმართველოს უფროსი გეძახისო. მაშინვე გაქანდი და თამამად შევადე კაბინეტის კარი.

— გამარჯობათ, პატივცემულო ლენტორ!

— პატივცემულო, რა, შენი მასწავლებელი ხომ არ გგონივარ?

— მაპატიეთ, ბატონო!
— ბატონ-ყმობა დიდი ხანია გადავარდა.

— სრული ჭეშმარიტებაა, უფროსო!

— უფროსო, რა, მილიციელი ხომ არ გგონივარ, ბიჭო, შენ?

კიდეც რალაც უნდა მეთქვა, მაგრამ შემაწყვეტინა:

— აი რა: ნოვოსიბირსკში ერთ-ერთი ობიექტი გვაქვს დასაპროექტებელი, დოკუმენტაციაში ზოგიერთი რამ დასაზუსტებელია. შენ გაგზავნი, შესძლებ კი საქმის თავის გართმევას?

— რა თქმა უნდა, ლენტორ პანტელეიმონის ძე!

ასეთ მიმართვაზეც ლენტორს სახე მოექცა, ჩანდა, ასეთი მიმართვაც არ ეჭაშნიკა, ბრძანების პროექტი ამაფარა სახეზე და მითხრა, მდივნისთვის ვაღამეცა დასაბეჭდად.

— კარგად ბრძანდებოდეთ, ამხანაგო ლენტორ, ხვალე გავფრინდები. — დავემშვიდობე და კარსიკენ გამოვსციე.

— ჰმ, ამხანაგიც გამხალა! — მომესმა კარის უკნიდან.

ორი კვირის შემდეგ მივიღინებოდიან დავბრუნდი, პირდაპირ ლენტორის კაბინეტის კარი შევადე და რუსულად მოვახსენე მოსახსენებელი.

— ბიჭო, ორ კვირაში ქართული დავავიწყდა? — ირონიულად მკითხა სამმართველოს უფროსმა.

ადარ ვიცოდი, ქართულად როგორ მიმემართა და კვლავ რუსულად განვაგრძე ლაპარაკი.

— მივიღინებების შედეგები მოახსენეთ ჩემს პირად მდივანს! — შემაწყვეტინა უცერემონიოდ.

მხრებაჩეჩილი გამოვედი და თითისსიგარტე პირად მდივან გოგოს ჩავაბარე ანგარიში.

მან ყურადღებით მომისმინა და მითხრა, ხაზეინმა რუსული არ იცისო.

იქნებ ვინმემ მირჩიოთ: როგორ და რა ენაზე მიემართო უფროსს?!

ტარიელ ზანაშკრაშვილი



ნახ. რ. სანაღორაძისა

— მსა, ცოლშვილიანი არა ვარო?

73-638

7-1973

ნახ. 3. ლომიძისა

ისრაელის ექსტრემისტები შეუნიღბავად ცდილობენ ანექსირებული მიწების
მითვისებას და ყაჩაღური თავხედობით საქვეყნოდ გაიძახიან: „სველგან სიდაც
ჩვენ ფეხს მოვიკიდებთ ჩვენი მიწა და არაერთარ დათმობაზე არ წავალთ.“

16036300
ბიზნისი

საბავშვო სახელაწიფო ფილიალი
№ 638
20.18



მოუწელებელი კერძი.

ინტეკ 76137